საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 7 22 0000102294

02/02/2022

"შპს ევროპის უნივერსიტეტის „საბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის“ აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 იანვრის №11010 გადაწყვეტილებაში და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 იანვრის №10889 სხდომის ოქმის №01 ნაწილში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის „საბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 იანვრის № 10889 სხდომის ოქმის №01 ნაწილის "ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ" ცხრილის მე-9 პუნქტში ასახული კვალიფიკაციის დასახელება ჩამოყალობდეს შემდეგი სახით: განათლების მაგისტრი (საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი).
2.შპს ევროპის უნივერსიტეტის „საბაზო საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული (საბაკალავრო-სამაგისტრო) საგანმანათლებლო პროგრამის“ აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 იანვრის №11010 გადაწყვეტილების დანართი №1-ში შევიდეს ცვლილება და კვალიფიკაცია ჩამოყალობდეს ამ დანართის მე-9 პუნქტში ასახული კვალიფიკაციის დასახელება ჩამოყალობდეს შემდეგი სახით: განათლების მაგისტრი (საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი).

3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 02 თებერვლის №101436 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ